პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 120 (18362) შაბათი, 22 მაისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

ჩვენ, სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატები, გამოვხატავთ რა კომკავშირელთა, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის აზრებსა და მისწრაფებებს, უსაზღვრო სიყვარულისა და შვილური მადლიერების სიტყვებით მივმართავთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის მებრძოლ შტაბს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

საბჭოეთის ახალგაზრდა თაობას წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება — იცხოვროს, ისწავლოს და იშრომოს სოციალისტური სამშობლოს მშვიდობიანი ცის ქვეშ, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტთა პარტიის წინამძღოლობით ამკვიდრებდეს უკვდავი ლენინის იდეებს!

თითოეული კომკავშირელი, თითოეული ახალგაზრდა მხურვალედ გამოეხმაურა ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ჩვენს ყრილობაზე წარმოთქმულ უაღრესად ღრმა შინაარსიან, შთამბეჭდავ სიტყვას, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, რომლებიც განმსჭვალულია უსაზღვრო რწმენით ახალგაზდობის, ოქტომბრის საქმისადმი მისი უდიდესი ერთგულების მიმართ. პარტიის დიდი ნდობა შთაგვაგონებს, ახალი გმირობისა და მიღწევებისათვის მოგვიწოდებს.

მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის საბჭოთა ახალგაზრდობის გული და ფიქრები. პარტია გვასწავლის ერთგულად ვემსახურებოდეთ ხალხის ინტერესებს, ვიყოთ მტკიცე მებრძოლები კომუნიზმის იდეალებისათვის, ვიაროთ წინ და ვიმარჯვებდეთ. პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ცხოველმყოფელი ძალა, რევოლუციური ოპტიმიზმის, შემოქმედებისა და ენთუზიაზმის უშრეტი წყაროა.

სამყაროს კომუნისტური განახლების საქმისადმი უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია ჩვენთვის დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, ახალგაზრდობის ბრძენი დამრიგებლის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ცხოვრების გზა.

თქვენს გმირულ ცხოვრებაში, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მთელი სისრულით აისახა საბჭოეთის ბიოგრაფია. ურყევი იდეური მრწამსის, ბოლშევიკური სიმტკიცისა და პრინციპულობის, ვაჟკაცობისა და სიკეთის, ლენინურად, კომუნისტურად ცხოვრებისა და ბრძოლის ცოდნის ფასდაუდებელ გაკვეთილებს იღებს ახალგაზრდობა თქვენი შესანიშნავი წიგნებით „მოგონებანი", „მცირე მიწა", „ყამირი" და „აღორძინება".

კომკავშირისათვის არა არის რა იმაზე მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანა, ვიდრე აღზარდოს პოლიტიკურად აქტიური, საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე და მუშაობის უნარის მქონე თაობა, რომელიც მუდამ მზად იქნება სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები დღენიადაგ ილვაწებენ, რათა ქალიშვილები და ჭაბუკები თანამიმდევრულად ეუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მძლეთამძლე მოძღვრებას, უფრთხილდებოდნენ და ამრავლებდნენ უფროს თაობათა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, იზრდებოდნენ ნამდვილი პატრიოტები და ინტერნაციონალისტები, შეურიგებელნი ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ყოველი გამოვლინებისადმი.

ქალიშვილები და ჭაბუკები ამაყად ამბობენ: „საბჭოთა კავშირის ჯარ მოქალაქე!" საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლის თავის წინ, ჩვენ, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ახალგაზრდა წარმომადგენლები — საჯაროდ აღვუთქვამთ ლენინურ პარტიას, რომ კვლავაც წმიდად დავიცავთ და განვავითარებთ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, ახალგაზრდა თაობას ჩავუნერგავთ სოციალიზმის ბედისათვის, ჩვენი სამშობლოს აყვავებისა და ძლიერებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

ახალგაზრდობისათვის ღირსებისა და სიმამაცის საქმე, სამოქალაქო სიმწიფის გამოცდაა კონკრეტული მონაწილეობა სკკპ ისტორიული XXVI ყრილობის მიერ დასახული დიადი გეგმების განხორციელებაში. მილიონობით კომკავშირელი, ქალიშვილი და ჭაბუკი აქტიურად მონაწილეობს პატრიოტულ მოძრაობაში „მეთერთმეტე ხუთწლედს — ახალგაზრდების შრომა, ცოდნა, ინიციატივა და შემოქმედება!". დიადი აღმშენებლობის სადაგ დღეებში ისინი ავლენენ შრომითს შთაგონებას, დაუცხრომელ ძიებას, მაღალ დისციპლინასა და ორგანიზებულობას. ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა კვლავაც ამრავლებენ თავიანთ წვლილს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, შრომის ნაყოფიერებისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლაში, გააძლიერებენ შეფობას კაპიტალური მშენებლობისა და ტრანსპორტისადმი, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროსადმი. ახალგაზრდა მოხალისეთა ახალი რაზმები, რომლებიც აგრძელებენ სახელოვან კომკავშირულ ტრადიციას — ვიყოთ მუდამ იქ, სადაც საჭიროა, მგზნებარე გული, მტკიცე ხასიათი, მარჯვე ხელები, — შეავსებენ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, უკიდურესი ჩრდილოეთის, რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდამქმნელთა რიგებს.

კომკავშირი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მონაწილეობს პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. ყოველი კომკავშირული ორგანიზაცია, სოფლისა და ქალაქის ყოველი კომკავშირელი იპოვის თავის ადგილს სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. კომკავშირი კიდევ უფრო მტკიცედ ჩაუნერგავს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მშობლიური მიწის სიყვარულს, უნარს იმუშაონ ამ მიწაზე, უფრო მდიდარი და ლამაზი გახადონ იგი.

ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენი ყველაზე გაბედული გეგმები ხორციელდება მხოლოდ აღმშენებლობითი შრომით. ლენინური კომკავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა აქტიურად დაეხმაროს პარტიას მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის ღირსეული და საიმედო ცვლის აღზრდაში. სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ იბრძოლებენ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნისათვის, შრომითი ცხოვრებისათვის მოამზადებენ თაობებს, რომლებმაც უნდა განაგრძონ დიდი ოქტომბრის ესტაფეტა.

მილიონობით საბ[illegible] ობრივი წრთობის [illegible] ხანაგრობისა და კო[illegible] ნინის სახელობის [illegible] განიზაცია. ქვეყან[illegible] თავი. კომკავშირი [illegible]

ვანელი — პარტიას აღუთქვამს, რომ სკოლასთან, ოჯახთან, საზოგადოებრიობასთან ერთად აღზრდის კომუნისტური იდეალებისათვის შეგნებულ მებრძოლებს, ბავშვებს აღზრდის დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით, ყოველნაირად ეცდება, რომ თითოეული რაზმის თანამგზავრი გახდეს წკრიალა სიმღერები, საინტერესო ლაშქრობანი და თამაშობანი, სპორტული ასპარეზობანი, ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეო შრომა.

მომწიფებული სოციალიზმი ფართო შესაძლებლობებს უსახავს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო მიზანსწრაფულად დაანაფებენ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მრავალეროვნული საბჭოთა და მსოფლიო კულტურის სიმდიდრეს, თითოეულ ახალგაზრდას ჩაუნერგავენ მისწრაფებას ზნეობრივი სილამაზისა და ფიზიკური სრულყოფისადმი.

კომკავშირელებს გულარხეინობა და თვითდამშვიდება არ სჩვევიათ. სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი კრიტიკულად აფასებს მიღწეულს და კვლავაც აამაღლებს ყველა თავისი რგოლის მებრძოლურობას, შექმნის ცოცხალ, შემოქმედებით ატმოსფეროს თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციაში, გადაჭრით აღმოფხვრის ფორმალიზმს, სრულყოფს მუშაობის სტილსა და მეთოდებს. ჩვენი ვალია მივაღწიოთ იმას, რომ თითოეული კომკავშირელი პოლიტიკური შეგნებისა და შრომისმოყვარეობის მაგალითს იძლეოდეს, პირნათლად ამართლებდეს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წევრის საპატიო წოდებას.

დაუოკებელია ხალხთა მისწრაფება მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისადმი. კომკავშირელები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ერთსულოვნად იწონებენ და სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამას, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს. ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და განიარაღებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იქნებიან, განამტკიცებენ მეგობრობასა და თანამშრომლობას სოციალიზმის ქვეყნების ახალგაზრდა თაობასთან, ახალგაზრდობის მოძმე კავშირებთან, პლანეტის პროგრესულ ახალგაზრდობასთან.

ჩვენი დროშაა ლენინის დროშა! ჩვენი საქმეა კომუნისტური პარტიის უძლეველი საქმე! ჩვენი გზაა კომუნიზმის გზა! სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატები 41 მილიონი კომკავშირელის, ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით საჯაროდ აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ძვირფას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ ლენინური კომკავშირი ყოველთვის იყო და იქნება პარტიის საიმედო რეზერვი და მებრძოლი თანაშემწე. კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა პარტიისა და სამშობლოს მაღალ ნდობას გაამართლებენ თავიანთი დამკვრელური შრომით, წარჩინებული სწავლით, სანიმუშო სამხედრო სამსახურით, ლენინის ანდერძის, დიადი კო- [illegible]

ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. იგი აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით და უშვებს გადიდებული მოთხოვნის მაღალი ხარისხის პროდუქციას.

საწარმოს მშრომელები წარმატებით დგანან სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე.

ნაყოფიერად მუშაობს სამკერვალო საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტი აზა კოზაევა. კოლექტივი ლიდერობს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ბრიგადის წევრი მოტორისტი მკერავი, კომკავშირელი მალვინა ლაგკოევა საწარმოში პირდაპირ სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა, შეძლო მოკლე დროში დაუფლებოდა პროფესიას და გამხდარიყო მოწინავე წარმოების მუშაკი. მან ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს წლიური დავალება.

● ●

სურათზე: ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მოტორისტი მკერავი, კომკავშირელი მალვინა ლაგკოევა.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საიუბილეო შრომითს ვახტზე

● ენგურჰესელთა ახალი გამარჯვება

ენგურჰესის გამოცდილ მშენებელთა სახელი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი. სწორედ მათ დაევალათ გაგრის ახალი სატრანსპორტო გზისათვის გვირაბის გაყვანა. კერძოდ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა ითავა სამმართველოს კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი მოველ ცაავა უძღვება.

მშენებლებს თავიდანვე რთულ პირობებში მოუხდათ მუშაობა: საქმე ის არის, რომ სატრანსპორტო გვირაბს შუაზე ხეობა ჰყოფდა, ამიტომ გვირაბის გაყვანა ოთხი სანგრევიდან დაიწყეს. მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე კოლექტივების ინიციატივას — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს სამოცი დამკვრელური კვირა"—ენგურჰესზე სხვებთან ერთად მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს კოლექტივიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა. მშენებლებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი აიღეს, პირველი ორი გვირაბის შეერთება იზეიმეს. თავი ისახელეს ავთანდილ ედიბერიძის, ბონდო ონიანის, იგორ ლატარიას, შერაბ კიკიძის გვირაბგამყვანთა ბრიგადებმა.

მ. ჟანტურია,
ენგურჰესის გაზეთ „ჩირაღდნის" რედაქტორის მოადგილე.

● ტრადიციას არ ღალატობენ

ტყიბული. (საქ. კორ.). დამკვრელურად შრომობს სტალინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ენთუზიასტი სამთოელი ვაჟა შეყრილაძე ხელმძღვანელობს. შარშან ამ კოლექტივმა ნორმით გათვალისწინებული 6875 ტონა საკოქსე ქვანახშირის ნაცვლად 9920 ტონა ამოიღო და დავალებას 44,3 პროცენტით გადააჭარბა.

კარგ შრომითს ტრადიციას ბრიგადა არც საიუბილეო წელს ღალატობს. იანვარ-აპრილში მათ გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი ამოიღეს და დავალება მნიშვნელოვნად გაანაღდეს.

მთელ შახტში კარგად იცნობენ ბრიგადის წევრებს ხ. მაღლარაძეს, ნ. მაკარიძეს და გ. კალანდაძეს. თითოეული მათგანი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაუფლებულია მრავალ მომიჯნავე პროფესიას, მუშაობს მუყაითად, ნაყოფიერად. ბრიგადის წარმატებები დიდად არის დამოკიდებული მისი უცვლელი, უნარიანი ხელმძღვანელის, მაღალკვალიფიციური სამთო სპეციალისტის, კარგი ორგანიზატორის ვ. შეყრილაძის საქმიანობაზე.

● მებარიტეთა სიტყვა

ონი. (საქ. კორ.). რაიონის სამრეწველო საწარმოთა ფლაგმანი — ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

იანვარ-აპრილი საწარმომ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. გეგმით გათვალისწინებული 9740 ტონა ბარიტის ნაცვლად ამოღებულია 10514 ტონა ქიმიური მრეწველობის ნედლეული. მებარიტეებმა მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმას გადაამეტეს 2000 მანეთით.

საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლის თავის საიუბილეო წლის შრომითს ვახტზე დაწინაურდნენ ის კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც გ. ზასეშვილი და ო. აბრამიშვილი ხელმძღვანელობენ. სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა წლეულს გეგმის გადამეტებით 120 ტონა ბარიტის კონცენტრატი გამოუშვას.

კომკავშირის ღირსების საქმე

ბროშურად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის [illegible]

ინფორმაციის დღე

21 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ინფორმაციის დღე რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათ[illegible] მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. თ. შეწირული, რომლებმაც ილაპარაკეს სამეურნეო საქმიანობის აღმზრდელობი[illegible]

[illegible] ლოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. ა. ფირანიშვილი, საქართველოს სსრ [illegible] ლურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. (საქინფორმი).

მოკავშირე ვიზიტის გამო

[illegible]

მორიგეობს „კოსმოს-1366"

[illegible]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. რ. ა. გოგლიძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

• • •

ამხ. რამაზ ანატოლის ძე გოგლიძე, დაბადებული 1941 წელს, ქართველი, სკკპ წევრი 1964 წლიდან.

შრომითი მოღვაწეობა ამხ. რ. ა. გოგლიძემ დაიწყო 1958 წელს კოშკურა ამწის მემანქანედ. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ორი წლის მანძილზე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, შემდეგ საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, 1965-68 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, ხელმძღვანელობდა საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტს, იყო თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანი. 1973 წლიდან დღემდე საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი იყო.

ამხ. რ. ა. გოგლიძე საქართველოს სსრ მეცხრე და მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით.

კომუნიზმი ახალგაზრდებმა უნდა აშენონ

საკავშირო ალკკ XIX ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

პარტიის, სამშობლოს, ლენინის დიადი ანდერძის ერთგულება, საბჭოთა ახალგაზრდობის მზადყოფნა უფრო მეტი შთაგონებითა და ენთუზიაზმით იბრძოლოს კომუნისტური აღმშენებლობის დიადი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის დამაჯერებლად ცხადყო სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობამ.

ოთხი დღის მანძილზე კრემლის ყრილობათა სასახლეში დიდებით მოსილი წითელი დროშების ქვეშ გაისმოდა დელეგატთა სიტყვები, რომლებიც განმსჭვალული იყო ზრუნვით ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სამშობლოს აყვავებისა და ხალხის შრომითს წარმატებებში ახალგაზრდობის წვლილის გადიდებისათვის, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის [illegible]

[illegible] ნომარიოვს, ზ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

ყრილობის სექციების მუშაობის შედეგები შეაჯამა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ვ. ჟუგანოვმა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ბ. ნ. პასტუხოვმა.

ყრილობის ყოველი დელეგატი ინტერესით, მხურვალედ გამოეხმაურა, თქვა მან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლე[illegible]

[illegible]

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

[illegible]

სიტყვა საქართველოში

[illegible]

ბი თხრიან რუებს წყლის გადასაგდებად.

შ. ყარაულაშვილი, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი:

— პირველი თავნება გაზაფხული მიწათმოქმედებს დამატებით სიძნელეებს [illegible]

[illegible] ლა ლონისძიება. ამ საქმეში რაიონის მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. მიმდინარეობს „მწვანე" ოპერაციები, ვაზის შეწამვლა.

ვ. ბატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი:

— ჩვენი რაიონის მეურნეო[illegible]

პროფესიათა გზაჯვარედინზე

განვაგრძობთ საუბრების ციკლს აბიტურიენტებისათვის. რა პერსპექტივას გადაუშლის ახალგაზრდას მექანიკა-მანქანათმშენებლობის მრავალპროფილიანი ფაკულტეტი? — ამაზე გვესაუბრება პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი.

მანქანათმშენებლობა თანამედროვე ტექნიკაში ადამიანის მოღვაწეობის ყველაზე ფართო სარბიელია. სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველთა საფუძველია მეცნიერების განვითარება. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლობას შეუძლია ფართოდ გაუღოს კარი ყოველივე ახალს, მანქანათმშენებლობა მოწოდებულია დაუყოვნებლივ აითვისოს, დიდად ეფექტიან, საიმედო მანქანებად, ხელსაწყოებად, ტექნოლოგიურ ხაზებად აქციოს ყოველივე მოწინავე, რასაც მეცნიერული და საინჟინრო აზრი ქმნის. მართლაც, რომ, რევოლუციურ შესაძლებლობებს სახავს მინიატურული ელექტრონული მმართველი მანქანების, სამრეწველო რობოტების შექმნა და დანერგვა. ისინი რაც შეიძლება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ".

იცვლება კონსტრუირების პრინციპები, გამოჩნდა ახალი მასალები, იბადება ახალი იდეები, იცვლება თვით განსაზღვრა „მანქანა". თუ XX საუკუნის 50-იან წლებამდე მანქანის ძირითადი დანიშნულება იყო შეეცვალა ადამიანის ფიზიკური შრომა, 50-იანი წლებიდან მანქანამ ნაწილობრივ „იკისრა" ადამიანის ინტელექტუალური შრომა. მანქანათმშენებლობის განვითარება ამით არ დამთავრებულა, მანქანის დანიშნულება და მოქმედება სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. სულ უფრო მაღლდება მანქანების მწარმოებლობა, მატულობს მისი მუშა ორგანოების სიჩქარეები, იზრდება მოთხოვნილება ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ ამოცანების გადაწყვეტისას ადამიანს მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდება, რაც დამოკიდებულია მანქანების მართვაზე, ტექნოლოგიური პროცესების კონტროლზე, მიღებული პროდუქციის გეომეტრიული პარამეტრების გაზომვაზე და სხვა. თუ ძველ მანქანებში ადამიანის რეაქცია საკმარისი იყო იმისათვის, რომ შეგვეცვალა მანქანის მუშაობის რეჟიმი, როცა ის ნორმალურიდან გადაიხრებოდა, თანამედროვე მანქანებში ეს გაძნელებულია. საქმე ის არის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობა დროის ძალიან უმცირესი მონაკვეთით იზომება და როდესაც ბევრი პროცესი უწყვეტია, ადამიანის ფსიქიკა ზღუდავს მის რეაქციას მუშა პროცესების ნორმალურიდან გადახრაზე. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა მართვის კონტროლის და გაზომვის ავტომატურ მოწყობილობათა შექმნა. წარმოებას გადაეცა ათასობით ავტომატიზებული უბანი, ავტომატური ხაზები, რომლებიც საკონტროლო-გასაზომი მოწყობილობებით არის აღჭურვილი.

ავტომატური ხაზებისა და მანქანების შექმნის სწრაფ ტემპს დიდხანს ჩამორჩებოდა ზოგიერთი დამხმარე საშუალება, მაგალითად, დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამ ამოცანის ეფექტიანი გადაწყვეტა მოხერხდა სამრეწველო რობოტების საშუალებით, რომელთა ინტენსიური კონსტრუირება და დანერგვა ხორციელდება უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში.

განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე კიბერნეტიკული მანქანები, რომლებიც საჭირო მექანიკურ მოძრაობებს ავტომატური მართვის ორგანოებით ასრულებენ. ამისათვის გამოყენებულია ელექტრონული გამომთვლელი მანქანები: ავტოოპერატორები, რობოტები, მანიპულატორები და სხვა. მათი ძირითადი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ისინი ასრულებენ მექანიკურ მოძრაობას, რომელიც შეესაბამება ადამიანის მოძრაობას. მაგრამ მთავარი კიბერნეტიკულ მანქანებში მაინც ის გახლავთ, რომ ისინი თითქოს „მგრძნობიარენი" გახდნენ, რადგან აღჭურვილი არიან სპეციალური მოწყობილობებით გარემოს შეცნობისათვის.

შეიქმნა რობოტები „ხელოვნური ინტელექტით", რომლებიც დაპროგრამებულია და ასრულებენ რაიმე ტექნოლოგიურ პროცესს, მაგალითად, ფორმის ან ფერის მიხედვით არჩევენ რაიმე დეტალს.

მანქანათმშენებლობის განვითარებას მუშების, ინჟინერ-ტექნიკური და სამეცნიერო მუშაკების დიდი არმია ემსახურება. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი საინჟინრო კვალიფიკაციაა ინჟინერ-მექანიკოსი. მის მომზადებასა და აღზრდას ემსახურება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, რომელიც უკვე თავისი არსებობის 60 წელს ითვლის.

მეცნიერულ-საინჟინრო იდეების პირმშო

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დიდი და მოწინავე ფაკულტეტია. ამ ფაკულტეტზე სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორი აკადემიკოსი, ერთი წევრ-კორესპონდენტი, ათი მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი, ორმოცდაათზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი-დოცენტი და მრავალრიცხოვანი დამხმარე პერსონალი.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი უძველესი და ფართო დიაპაზონის სპეციალობაა **„მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები", რომელიც სამ სხვადასხვა სპეციალობას აერთიანებს.** ამან იმდენად გააფართოვა ამ სპეციალობის ინჟინერთა მომზადების დონე, რომ ისინი თავისუფლად მოღვაწეობენ სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში, რესპუბლიკაში არ არსებობს ისეთი მანქანათმშენებელი ქარხანა, სამეცნიერო-კვლევითი ან საპროექტო ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო და სხვა სამეცნიერო დაწესებულება, ამ სპეციალობის ხელმძღვანელი და თითქმის ყველა რიგითი ინჟინერი რომ არ ჰყავდეს. ჩვენი მრავალი კურსდამთავრებული მოღვაწეობს რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში.

ამ სპეციალობის ინჟინერთა მომზადებას ემსახურება 1936 წელს ჩამოყალიბებული მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრა, რომელსაც 1945 წელს გამოეყო ლითონსაჭრელი ჩარხების კათედრა. მისი დაარსების ინიციატორები იყვნენ საბჭოთა საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

კათედრის სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობენ ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტები. კათედრის პროფესორებისა და დოცენტების ხელმძღვანელობით ისინი ასრულებენ სამეცნიერო-საკონსტრუქტორო თემებს, რომლებიც წარმოებაში ინერგება. ამ სამუშაოთაგან აღსანიშნავია ტექნოლოგიური მუშა პროცესების შედგენა პროგრამული მართვის ჩარხებისათვის, ახალი საიარაღო მასალების შექმნა, რთული კონფიგურაციის დეტალების მექანიკური დამუშავება ადაპტური სისტემების მეშვეობით, ლითონების ჭრა პლაზმის გამოყენებით, რობოტების თეორიის და კონსტრუქციების კვლევა.

კათედრასთან შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომლის წევრთა მიერ დამუშავებული შრომები ყოველწლიურად მაღალ შეფასებას იმსახურებენ საინსტიტუტო, რესპუბლიკურ და საკავშირო სტუდენტურ კონფერენციებზე.

საწარმოო და სადიპლომო სამუშაოების შესასრულებლად სტუდენტები იგზავნებიან საქართველოს და მოძმე რესპუბლიკების მოწინავე საწარმოებში, სადაც ისინი ეცნობიან ახალ ტექნიკას, რომელსაც შემდგომ იყენებენ როგორც სტუდენტურ, ასევე პრაქტიკულ მუშაობაში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებების შესაბამისად დაიწყო **თვითმფრინავთმშენებლობის ინჟინერ-მექანიკოსთა მომზადება.** თვითმფრინავთმშენებლობის ინჟინერ-მექანიკოსი ფართო პროფილის სპეციალისტია, რომელსაც შესწევს უნარი იმუშაოს თვითმფრინავის დაპროექტებაზე, აწყობასა და მონტაჟზე, აგრეთვე მისი საფრენოსნო გამოცდის დარგში. სწავლების სრული კურსი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა სპეციალისტს საავიაციო წარმოების ნებისმიერ უბანზე იმუშაოს. გარდა ამისა, მას შეუძლია ხელი მოჰკიდოს სამეცნიერო მუშაობას საავიაციო დისციპლინების დარგში.

თვითმფრინავთმშენებლობის კათედრა 1968 წელს დაარსდა. კათედრას გააჩნია თანამედროვე დონის აპარატებითა და დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორიები: აეროდინამიკის, საფრენი აპარატების მოწყობილობების, თვითმფრინავის კონსტრუქციის, თვითმფრინავის სიმტკიცის, საფრენი აპარატების ტექნოლოგიის, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტი.

კათედრაზე გაშლილია სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა. სტუდენტებმა დააპროექტეს დელტაპლანი, რომელიც დამზადდა კათედრაზე და გამოიცადა ფრენის დროს. ამჟამად სტუდენტთა ჯგუფი მუშაობს აეროსტატებისა და დირიჟაბლების სოფლის მეურნეობაში გამოყენების შესახებ. 1979 წელს კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ კოსმონავტიკის კომიტეტი.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი **საშენი მასალების, ნაკეთობების და კონსტრუქციების ხაწარმოთა მექანიკური მოწყობილობების ინჟინერ-მექანიკოსებსაც ამზადებს.** მათი პროფილია საშენი მასალების წარმოების საკარიერო მეურნეობა, სამსხვრევ-სახარისხებელი ქარხნები და დანადგარები, ბეტონისა და რკინაბეტონის ქარხნები და დანადგარები, ცემენტისა და კერამიკული ნაკეთობების ქარხნები, სახლთსაშენებელი კომბინატები, ლითონკონსტრუქციების ქარხნები, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მექანიკური მოწყობილობის მანქანათსაშენებელი და სარემონტო ქარხნები და სხვ. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ელით სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში. მათ შორის თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სახლთსაშენებელი კომბინატები, ბზიფის, ჭოროხისა და მარნეულის კარიერები, რუსთავის ცემენტისა და ლითონკონსტრუქციების ქარხნები, ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათსაშენებელი ქარხანა, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი და სხვა. ეს სპეციალობა ფართო პროფილისაა და მისი გამოყენების სფერო მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ შემოიფარგლება. შესწავლილი მანქანებისა და დანადგარების ნომენკლატურა რამდენიმე ათეულს აღემატება. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებს სამუშაო ადგილისა და თანამდებობების ფართო არჩევანი აქვთ (ოსტატები, მექანიკოსები, ინჟინრები). როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და მათ ფილიალებში კურსდამთავრებულებს ელით საინტერესო შემოქმედებითი კვლევითი მუშაობა, რომელსაც ჯერ კიდევ ინსტიტუტის კედლებში ეყრება საფუძველი.

მეთერთმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება. ამ მიზნით პარტიამ და ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ცნეს სპეციალური კომპლექსური სასურსათო პროგრამის შექმნა და განხორციელება. ამ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც თან ახლავს მათი შენახვის, გადამუშავების, გადაზიდვისა და სხვა პრობლემები. ამ პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს პროდუქციის თერმული დამუშავება. ამაში ხელოვნური სიცივის გამოყენებას წამყვანი ადგილი უკავია. სამაცივრო ტექნიკამ, რომლის შესაძლებლობანი ტრადიციულად მხოლოდ შენახვითა და გადაზიდვით შემოიფარგლება, ამჟამად ახალი გამოყენება პოვა სამაცივრო ტექნოლოგიის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების საფუძველზე.

სამაცივრო ტექნიკისა და ტექნოლოგიის უზრუნველყოფის და მისი შემდგომი განვითარების საკითხებს ემსახურება 1975 წელს ფაკულტეტზე შექმნილი **„სამაცივრო ტექნიკის" კათედრა, რომელიც „სამაცივრო და საკომპრესორო მანქანებისა და დანადგარების" სპეციალობის ინჟინერ-მექანიკოსებს ამზადებს.**

კათედრის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმების სფეროა სამაცივრო მანქანებისა და დანადგარების ექსპლოატაცია, კონსტრუირება, მონტაჟი, გამოშვება-გამართვის სამუშაოები, რემონტი, სამაცივრო საწარმოთა დაპროექტება, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება და სხვა.

ამ სპეციალობის ინჟინერ-მექანიკოსები თავიანთი მომზადების დონის და ორგანიზატორული უნარის მიხედვით ინიშნებიან ინჟინრის, ინჟინერ-მექანიკოსის, საამქროს უფროსის, ოსტატის, სამაცივრო ტრანსპორტის უფროსის, უმცროსი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და სხვა თანამდებობებზე — ხორცისა და რძის, კვების, ქიმიური, გაზის, ნავთობის მრეწველობის, მეტალურგიის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, იქ, სადაც ხელოვნური სიცივე გამოიყენება. კათედრას აქვს თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები: სამაცივრო მანქანების, სამაცივრო დანადგარების, ჰაერის კონდიციონერების, წარმოების ავტომატიზაციის კურსების შესასწავლად და პრაქტიკული ჩვევების მისაღებად.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა წარმოებაში დიდი მოთხოვნები წაუყენა მანქანა-დანადგარებზე მომუშავე და მომსახურე პერსონალს. ამ პერსონალის ძირითადი ბირთვის მომზადება პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ხორციელდება. ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციას მთლიანად განსაზღვრავს ინჟინერ-პედაგოგთა პერსონალის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონე. ამიტომ 1976 წლიდან ფაკულტეტზე ამზადებენ ახალი სპეციალობით — **ინჟინერ-მექანიკოსი — მანქანათმშენებლობის დისციპლინების მასწავლებელს.** სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების შესწავლა მანქანათმშენებლობის სპეციალობის კურსდამთავრებულებს, გარდა პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში პედაგოგიური მოღვაწეობისა, შესაძლებლობას აძლევს იმუშაონ მანქანათსაშენებელ ქარხნებში და საკონსტრუქტორო ბიუროებში ინჟინერ-ტექნოლოგისა და კონსტრუქტორის თანამდებობაზე.

როგორც ვხედავთ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მრავალპროფილიანი ფაკულტეტია, რომელიც მანქანათმშენებლობის თითქმის ყველა დარგის სპეციალისტს ამზადებს. ამიტომ სწორედ ჩვენს მიერ გამოშვებულ სპეციალისტებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომლებსაც პარტია და მთავრობა უსახავენ სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

გ. ბოკუჩავა,

პროფესორი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი

დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

21 მაისი

● ბულგარეთ-პოლონეთი

ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად

სოფია. აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის მეთაურობით.

გაიმართა ორი ქვეყნის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციათა მოლაპარაკება.

ვ. იარუზელსკიმ ინფორმაცია გააკეთა პოლონეთში შიდაპოლიტიკური ვითარების შესახებ. იგი დაწვრილებით შეეხო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეცადინეობას კრიზისის დაძლევისათვის, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონელ ხალხს გადაწყვეტილი აქვს განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან.

ტ. ჟივკოვმა განაცხადა, რომ ბულგარელი კომუნისტები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური პოლონეთი წარმატებით დაძლევს წარმოქმნილ სიძნელეებს.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემათა განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მჭიდრო ურთიერთმოქმედება მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. მხარეებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი სკკპ XXVI ყრილობაზე მიღებულ 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამას, ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობაზე.

დელეგაციებმა დაგმეს სახალხო პოლონეთის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ძალების ჩარევის ცდები და აღნიშნეს, რომ აზლანდელ გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ერთიანობა და შეკავშირება მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

მოლაპარაკების დროს დელეგაციათა ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ბულგარეთ-პოლონეთის თანამედროვე პერსპექტივებს ყველა დარგში.

ცენტრალური თემა — მშვიდობისადმი მისწრაფება

ინგლისში გამოიცა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „მოგონებები"

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დიდი მოვლენა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მოგონებების" გამოცემა, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოუშვა გამომცემლობა „პერგამონ პრესმა".

სსრ კავშირის საელჩოში გაიმართა წიგნის წარდგენის ცერემონია, რომელსაც დაესწრნენ ბრიტანეთის პარლამენტის წევრები, თვალსაჩინო საზოგადო, პოლიტიკური და პროფკავშირული მოღვაწენი, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, სოციალისტური და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ელჩები.

დიდი ბრიტანეთის პროფკავშირული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწემ ა. კიტსონმა ცერემონიაზე გამოსვლისას თქვა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნის ინგლისში გამოსვლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის სახელს, თქვა მან, ჩვენ ვაიგივებთ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკასთან, რომელსაც ფართოდ უჭერენ მხარს პროგრესული ძალები. კარგად არის ცნობილი ბევრი წინადადება, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელმა წამოაყენა ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით.

სულ ცოტა ხნის წინ ლ. ი. ბრეჟნევმა გამოიჩინა ახალი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა, რომლის მიზანია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული დანიშნულების იარაღის გაყინვა.

ა. კიტსონმა შეკრებილთ შეახსენა, აგრეთვე, ლ. ი. ბრეჟნევის სხვა წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და გამოთქვა იმედი, რომ ისინი პოზიტიურ გამოხმაურებას ჰპოვებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა რ. ვულფმა აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებებს", ისევე როგორც მის სხვა წიგნებს, დიდი ინტერესით შეხვდებიან ინგლისში. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ყველა ნაწარმოების ცენტრალურ თემას, განაცხადა მან, წარმოადგენს მშვიდობისადმი მისწრაფება, რომელიც ყველა საბჭოთა ადამიანის წადილის გამოხატულებაა. ლ. ი. ბრეჟნევი — ჩვენი დროების უთვალსაჩინოესი მოღვაწე — ნიადაგ თანამიმდევრულად იღვწის დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების მისაღწევად. რ. ვულფმა აღნიშნა, რომ ინგლისელ ხალხს ასევე სწადია მშვიდობა და უბრალო ინგლისელები მხარს უჭერენ ამ დიდმნიშვნელოვან ინიციატივებს.

მე წამიკითხავს ინგლისურ ენაზე გამოსული ლ. ი. ბრეჟნევის ყველა ნაწარმოები, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯ. ოლდრიჯმა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელის ყველა წიგნს ახასიათებს ზუსტი, მოსწრებული ენა, ღრმა აზრი. ამ ნაწარმოებებში ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვეობის ყველაზე რთული პრობლემები. დარწმუნებული ვარ, „მოგონებები" ფართო გამოხმაურებასა და დიდ ინტერესს გამოიწვევს ინგლისელ მკითხველებში.

მე უაღრესად სასარგებლო საქმედ მიმაჩნია ინგლისში ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების გამოცემა, განუცხადა საქდესის კორესპონდენტს დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა. ინგლისელები ცხოველ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების წესის მიმართ. ისეთი თვალსაჩინო საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის „მოგონებები", როგორიც ლ. ი. ბრეჟნევია, დაეხმარება მათ შეიტყონ სიმართლე თქვენი ქვეყნის შესახებ.

პლაკატი უცხოეთში

შეწყდეს ტერორი!

ეს პლაკატი ამერიკელ კომუნისტთა გაზეთმა „დეილი უორლდმა" გამოაქვეყნა. მთელ მსოფლიოში დღითი დღე ფართოვდება სალვადორელი პატრიოტებისადმი, სალვადორის მრავალტანჯული ხალხისადმი სოლიდარობის მოძრაობა, ხალხისადმი, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა რეაქციული რეჟიმის, ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ჩარევის წინააღმდეგ.

● ფინეთი

დიდი ინტერესი

ეცნობიან საქართველოს სსრ საიუბილეო გამოფენას

ჰელსინკი. აქ საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების სახლში გაიხსნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „საბჭოთა საქართველოს მეცნიერება, ტექნიკა და ეკონომიკა". საბჭოთა კულტურის ცენტრის დარბაზებში ფართოდ არის წარმოდგენილი ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ისტორიას, რესპუბლიკაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების განვითარებას, მის წარმატებებს სხვადასხვა სფეროში.

სიმბოლურია, განაცხადა გამოფენის გახსნაზე ცნობილმა ფინელმა მეცნიერმა, მიკრობიოლოგიის პროფესორმა ჰელგე გიულენბერგმა, რომ საქართველოს მიღწევებს ვეცნობით იმ წელს, როცა საბჭოთა კავშირი აღნიშნავს თავისი შექმნის 60 წლის თავს. საქართველოს, თქვა მან, ღირსეული ადგილი უკავია საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებსაც წარმატებით ახორციელებს სსრ კავშირი.

ჰ. გიულენბერგმა აღნიშნა, თუ როგორ გაფართოვდა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. კერძოდ, თქვა მან, ფინელი და ქართველი მეცნიერები ერთად იკვლევენ საკითხებს ფიზიკის დარგში. ეს შედის იმ პროექტების რიცხვში, რომლებიც ხორციელდება საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის ფარგლებში.

გამოფენამ ჰელსინკის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. მასზე ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოს სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომელთაც კარგი პერსპექტივები აქვთ და მომავალში ურთიერთთანამშრომლობის სფეროში უნდა მოვაქციოთ, თქვა ფინელმა მეცნიერმა.

● ესპანეთი

„ბასკები და ქართველები"

მადრიდი. ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში (ბასკთა ქვეყანა) გაიმართა ოფიციალური ცერემონია, რომელზეც წარმოადგინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ბასკთა ქვეყნის კულტურისა და ენის მეგობართა ასოციაციის თავმჯდომარის შ. ვ. ძიძიგურის წიგნი „ბასკები და ქართველები". წიგნი გამოუშვა ადგილობრივმა გამომცემლობა „ნორანამ".

ცერემონიაზე გამოსვლისას, ბასკთა ქვეყნის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა ენრიკე გერ ბორასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბასკოლოგთა საბჭოთა სკოლა დღეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და საინტერესოა ბასკთა ქვეყნის კულტურის, ენის კვლევისა და შესწავლის დარგში. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ბასკი და ქართველი ხალხების კულტურების მსგავსების ჰიპოთეზის განვითარებაში. აღნიშნა, რა საქართველოსა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში საბჭოთა მკვლევართა მაღალი პროფესიული დონე, მან თქვა, რომ ასეთი კადრებით იამაყებდა ესპანეთის ნებისმიერი უნივერსიტეტი.

წიგნი „ბასკები და ქართველები" ერთ-ერთი პირველია „ინარის" (წყარო) სერიაში, რომელშიც შემდგომში შევა ბასკთა ქვეყნის კულტურისა და ენის საბჭოთა მკვლევრების სხვა საინტერესო ნაშრომებიც.

ინგლის-არგენტინის კონფლიქტი

ემზადებიან შეჭრისათვის

● კუნძულებზე გადასხდნენ ინგლისის სადესანტო-სადივერსიო ჯგუფები ● ტეტჩერი აძლიერებს სამხედრო ისტერიას ● უშიშროების საბჭოს დახურული კონსულტაციები

ინგლისის კონსერვატორთა მთავრობა განაგრძობს სამხრეთ ატლანტიკაში შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციის კურსს და ემზადება ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე შეჭრისათვის.

დასავლეთის პრესის ბევრ ორგანოს მიაჩნია, რომ ინგლისს დღესვე შეუძლია დიდი მასშტაბის საბრძოლო მოქმედების დაწყება. „ათასობით ბრიტანელი ჯარისკაცი მზადაა ხელთ იგდოს ფოლკლენდის კუნძულები. 19 მაისს საღამოს ისინი გადასხეს სადესანტო გემებზე და მისცეს უკანასკნელი ბრძანებები იერიშის წინ", — წერს გაზეთი „დეილი მეილი".

„დეილი ექსპრესის" ცნობის თანახმად, „ინგლისის სადესანტო-სადივერსიო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში არიან სამხედრო მოსამსახურენი სპეციალური ავიასადესანტო ქვეგანაყოფებიდან და სპეციალური სამხედრო-საზღვაო სადივერსიო-სადაზვერვო ჯგუფებიდან, უკვე გადასხდნენ ფოლკლენდის კუნძულებზე და მზად არიან დაიწყონ ოპერაციები, როგორც კი დაიწყება ძირითადი ძალების იერიში". ამ ქვეგანაყოფების ამოცანაა, წერს გაზეთი, გაანადგურონ კომუნიკაციის ხაზები და მოაწყონ სხვა დივერსიული აქტები, რომლებმაც პანიკა და ქაოსი უნდა გამოიწვიონ ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე ინგლისის ძალების შეიარაღებული შეჭრისას.

„ვაშინგტონ პოსტი" იმოწმებს კარგად ინფორმირებულ დიპლომატიურ და პოლიტიკურ წყაროებს ლონდონში და წერს: „ოფიციალური სამხედრო პირები კერძო საუბრისას წინასწარმეტყველებენ, რომ ინგლისელები შეიძლება ფოლკლენდის კუნძულებს თავს დაესხნენ წუთი წუთზე".

ამავე დროს ინგლისის შეიარაღებული ძალები სამხრეთ ატლანტიკაში აფართოებენ თავიანთ ოპერაციებს და ცდილობენ შეიჭრან არგენტინის მატერიკის ნაწილში. როგორც არგენტინის გაზეთი „კლარინი" წერს, ქვეყნის სამხრეთ სანაპიროზე სამხედრო ბაზის მახლობლად დააკავეს ინგლისელ დივერსანტთა ჯგუფი. ეს ცნობა ადასტურებს სამხედრო მიმომხილველთა აზრს, რომ ინგლისი არა მარტო ამზადებს კუნძულების შტურმს, არამედ აგრეთვე აპირებს საომარი მოქმედება გადაიტანოს არგენტინის ტერიტორიაზე.

ამასთან კონსერვატორთა კაბინეტის მეთაური მ. ტეტჩერი აძლიერებს სამხედრო ისტერიას, რათა გაზარდოს თავისი პოპულარობა, ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს ეკონომიკურ სიძნელეებს.

ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიმართა უშიშროების საბჭოს დახურული კონსულტაციები, რომელთა დროსაც განიხილავენ საკითხს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევის გზების შესახებ. კონსულტაციების დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებს განცხადებით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა: „საჭიროა უკანასკნელი სასწრაფო ღონისძიებანი, რათა მივაღწიოთ პოზიციების საჭირო შეთანხმებას მდგომარეობის მოსაწესრიგებლად".

უკანასკნელ საათს

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მ. ტეტჩერის მთავრობამ „პრაქტიკულად ამოწურა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების იმედი". ბრიტანეთის არმიის ხომალდებზე მყოფი კორესპონდენტების ცნობით, ინგლისი მთლიანად მზადაა არგენტინის ძალების წინააღმდეგ ფართო მასშტაბის ოპერაციისათვის.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ შეწყდა მისი მონაწილეობით გამართული მოლაპარაკება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ინგლის-არგენტინის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე. დრო, რომელიც საჭირო იყო სამხრეთ ატლანტიკაში მშვიდობის აღდგენისათვის შეთანხმების მისაღწევად, ამოიწურა, ნათქვამია წერილში, ჩემ მიერ განხორციელებული ღონისძიებები უშიშროების საბჭოს მხარდაჭერით არ ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ბოლო მოეღოს კრიზისს ან თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტის გამწვავება.

თავისი გადაწყვეტილება გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა მანამდე აცნობა, აგრეთვე, უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს.

სიდელები წინ მიიწევენ

გალის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის სოფელ სიდის (ცხაკაიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე ღონიერია. მეურნეობაში მისი არსებობის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა ჩაის ფოთლის მოსავლიანობა, განვითარდა მეცხოველეობა, იმატა შრომის ნაყოფიერებამ...

მეურნეობის კოლექტივმა, რომელსაც სათავეში უდგას უნარიანი ორგანიზატორი მიხეილ გერგედავა, განსაკუთრებული მონდომებით იშრომა მეათე ხუთწლედში, რისთვისაც სამჯერ მიიღო რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა გადაეცა.

მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისათვის ბრძოლით დაიწყეს სიდელებმა მეთერთმეტე ხუთწლედიც. მეურნეობას 1981 წელს სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 1.570 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1.100 ცენტნერი რძე, 110 ცენტნერი ხორცი... ეს დავალებები გადამეტებით შესრულდა.

სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყვნენ აგროგანყოფილებები და საწარმოო ბრიგადები, მეჩაიეები, მეცხოველეები...

შრომის სწორი ორგანიზაციის, მეურნეობის თითოეული მუშა-მოსამსახურის მონდომების შედეგად დამუშავდა 800 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, აქედან გააფხვიერეს და სასუქებით უზრუნველყვეს 186 ჰექტარი მოსავლიანი და 456 ჰექტარი ახალგაზრდა ჩაის პლანტაცია; აგროღონისძიებები განხორციელდა 40 ჰექტარ სასიმინდე ფართობში, თუთის პლანტაციებში.

შარშან მოიკრიფა 1915 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, აწარმოეს 1.400 ცენტნერი რძე, 180 ცენტნერი ხორცი. ყოველ მეწველ ძროხაზე, ნაცვლად 2250 კილოგრამისა, საშუალოდ მიღებულია 2547 კილოგრამი რძე.

მომჭირნეობის რეჟიმმა და მეურნეობის გონივრულმა გაძღოლამ დიდი მოგება მისცა სიდელებს. მათ ყველა სახეობის პროდუქციის რეალიზაციით ნაცვლად 1,4 მილიონი მანეთისა 1,9 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღეს. რენტაბელობის დონე საგეგმო 34 პროცენტის ნაცვლად 56,1 პროცენტით გაიზარდა.

1981 წელს სიდელებმა კერძო სექტორიდან სახელმწიფოს ჩააბარეს 360 ცენტნერი ხორცი. ოჯახში გამოზრდილი საქონლის ჩაბარებაში თავი გამოიჩინეს ჯუმბერ გითოლენდიამ, ფაციკო ქობალიამ, ვალიკო დოჩიამ და სხვებმა, რომლებმაც თითო ტონაზე მეტი ხორცი ჩააბარეს სახელმწიფოს.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეურნეო მაჩვენებლებით საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების განხილვისას მეურნეობამ გაიმარჯვა და 1981 წლის საუკეთესო შედეგებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა მეორედ გადაეცა.

ეს გამარჯვება იოლად არ მოსულა. მას წლების განმავლობაში უყრიდნენ საფუძველს ლენინის ორდენოსანი ზოია გერგედავა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლიანა ყოლბაია, მეურნეობის მოწინავენი — რეზო ბუავა, ივანე სორდია, ნათელა ნაყოფია, იამზე ჭარაია, გოგოლა შამუგია, მიმოზა ეხვაია, გულნარა ჩხეტია, ფაციკო ხუფენია, გულნაზო ხურცია, მზია აკობია, ლუნა ჯღარკავა და სხვანი.

სწორედ ამ მოწინავე ადამიანებმა მოუხვეჭეს მეურნეობას ესოდენ დიდი სახელი. დაუშრეტელი, ენერგიული გარჯის შედეგია ისიც, რომ მეურნეობა მრავალგზის დაჯილდოვდა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მთავარი კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომებით, საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის, პროფკავშირისა და ალკკ რაიკომის გარდამავალი დროშებით.

დიდი ღონისძიებებია დასახული მეურნეობის განვითარებისათვის მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელს: კიდევ უფრო გაიზრდება ჩაის ფოთლის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მაჩვენებელი, გაუმჯობესდება მისი ხარისხი, უფრო განვითარდება მეცხოველეობა, მესიმინდეობა, მეაბრეშუმეობა, რაც იმის საწინდარია, რომ სიდელები საპატიო წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მეურნეობამ უკვე დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. მალე ფრთებს გაშლის მწვანე ფრონტი.

ი. გამსახურდია.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ვაგონები ცდება, ჯარიმები იზრდება

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბთან ერთად იანვარ-აპრილში მოაწყვეს საწარმო-ორგანიზაციათა მისასვლელ გზებზე, აგრეთვე რკინიგზის სადგურებში სატვირთო ოპერაციების წარმოებისას ვაგონების დატვირთვის, გადმოტვირთვის წესებისა და მოცდენის ნორმების დაცვის მასობრივი შემოწმება.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ საერთო მაჩვენებლების მიხედვით მდგომარეობა არცთუ სავალალოა. მაგალითად, მისასვლელ გზებზე ვაგონების მოცდენა მარტში იანვართან შედარებით 78.522-დან 59.363 ვაგონსაათამდე, ხოლო ვაგონების საშუალო მოცდენა 5,1-დან 4,7 საათამდე შემცირდა. არის გარკვეული წარმატებანი ვაგონების ზენორმატიული მოცდენისათვის ჯარიმის გადახდის საქმეშიც. შარშანდელთან შედარებით პირველ კვარტალში ჯარიმის თანხა 148 ათასი მანეთით შემცირდა.

ამ საერთო მაჩვენებლების მიღმა არაერთი არსებითი მნიშვნელობის ნაკლი იმალება, რომლებიც ვერ იქნა და ვერ აღმოიფხვრა. ვაგონების მოცდენის საქმეში დიდად სცოდავენ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის, დამზადების, მშენებლობის და კვების მრეწველობის სამინისტროთა საწარმოები და ორგანიზაციები.

დასატვირთი რესურსების დიდი დანაკარგები ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ტვირთის მიმღები ორგანიზაციები დროულად ვერ ცლიან და ვერ წმენდენ ვაგონებს. „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტი (დირექტორის მოადგილე შ. ახვლედიანი) ხშირად ჭიათურის სადგურს გაუსუფთავებელ ვაგონებს უგზავნის. ერთი შეხედვით თითქოსდა ამ უმნიშვნელო საქმისათვის კომბინატი შარშან და წლევანდელ იანვარ-თებერვალში 71.725 მანეთით დაჯარიმდა. მსგავსი მდგომარეობა იყო ტყვარჩელის ჰიდროელექტროსადგურსა (დირექტორი დ. გაბუნია) და საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტყიბულის ბაზაში (გამგე რ. ობოლაძე). აქაც დიდი ჯარიმა გადაიხადეს. დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის ო. კუპატაძის მიზეზით, აგრეთვე დაგეგმვის დაბალი დონის შედეგად ჭიათურის აგურის ქარხნის ფილიალი ვაგონების აუთვისებლობისათვის ყოველწლიურად ჯარიმის სახით დიდ თანხას იხდის.

ყურადღებას იპყრობს იმპორტული მარცვლის დატვირთვის საქმე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და საქართველოს საზღვაო-სანაოსნო ხელმძღვანელობა სრულყოფილად ვერ ახორციელებენ სასურსათო ტვირთზიდვის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მითითებებს. ამ მხრივ მდგომარეობა სახარბიელო ვერ არის ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ორივე ნავსადგურში გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 20.110-ის ნაცვლად დატვირთეს მხოლოდ 15.874 ვაგონი. ამიერკავკასიის რკინიგზამ ამავე პერიოდში ნავსადგურებს 4.236 ვაგონი დააკლო. რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე, მოძრაობის სამსახურის უფროსი ლ. ბროფმანი და რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებათა მოძრაობის სამსახურის უფროსები ვ. შარაბიძე და ს. ჯაყელი არ აკონტროლებდნენ პურის ვაგონებისა და სურსათ-სანოვაგისათვის გათვალისწინებული ვაგონების გადარჩევისა და ნავსადგურებში გაგზავნის საქმეს. ამის შედეგად იანვარსა და თებერვალში ბათუმისა და ფოთის სადგურებში პურის ინსპექციამ დაიწუნა და დაუტვირთავად სამტრედიაში გაგზავნა შესაბამისად 1.993 და 2.941 ცარიელი ვაგონი.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ნავსადგურებს მარცვლეულის დასატვირთად ტექნიკურად გაუმართავ ვაგონებს აწვდიან. მარტში მარცვლეულის ცვენის გამო 36 ვაგონი მოიხსნა მარშრუტიდან და დასაცლელად გადაეცა ფოთის წისქვილკომბინატს. ფოთის ნავსადგურში (უფროსი გ. ვატაევი) და ფოთის სადგურში (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვ. მაყიშვილი) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესების დასაცავად სათანადოდ არ ზრუნავენ. საერთოდ დავალებათა შეუსრულებლობის ძირთად მიზეზად უნდა ჩაითვალოს მუშაობის დაბალი დონე, საკმაო რაოდენობისა და ტონაჟის ვაგონებით ნავსადგურების მოუმარაგებლობა, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესების დაუცველობა და მექანიზმებისა და დიდმწარმოებლური კომპლექსის უკმარისობა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილის ზ. პაპავას, რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებათა უფროსების რ. ვაშაკიძისა და ა. კვანტალიანის, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის, დამზადების, მშენებლობის, კვების მრეწველობის მინისტრების მოადგილეების ი. ხელაშვილის, გ. ჯუსოევის, ვ. გაბაშვილის, შ. ლუხუტაშვილის ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს აქვთ რკინიგზის ვაგონების ეფექტიანად გამოყენებაში. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ლ. ბროფმანს საყვედური გამოეცხადა, ხოლო ფოთის ნავსადგურის უფროსს ს. ვატაევს შენიშვნა მიეცა. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობის სამსახურის უფროსს ო. ჯაყელს გზის უფროსის ბრძანებით გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური, ხოლო რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილე ე. შარაბიძე დიდი ხანი არ არის, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს. რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსს რ. ვაშაკიძეს მიეთითა. სამთამადნო კომბინატის „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორის მოადგილეს შ. ახვლედიანს საყვედური გამოეცხადა, საყვედური გამოეცხადა აგრეთვე დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ო. კუპატაძეს. მასვე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალისათვის დაერიცხა 2 თვის თანამდებობრივი განაკვეთი 440 მანეთის ოდენობით. ორ-ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთი, შესაბამისად 600 და 350 მანეთი დაერიცხათ ტყვარჩელის ელექტროსადგურის დირექტორს დ. გაბუნიას და საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს ტყიბულის ბაზის დირექტორ რ. ობოლაძეს.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

პასუხი-ვისთვის?

ანუ როგორ შეხვდნენ ჭინათელ მშრომელთა კრიტიკას

ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „ხალხის ფხიზელი თვალი“ 1980 წლის 25 ივლისს გამოქვეყნებული იყო სარეიდო წერილი „მომსახურება — ყურადღების ცენტრში“, რომელიც სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად ეხებოდა სოფელ ლესის კოლმეურნეობის ჭინათის უბნის მშრომელთა სამდურავს.

სამწუხაროდ, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ლანჩხუთის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელ მუშაკებს თითქმის არაფერი უღონიათ. შარშან ივნისში კვლავ შევამოწმეთ, რა გაკეთდა ჭინათელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად და იძულებული გავხდით მოგვემზადებინა უფრო სუსხიანი წერილი — „ამას ჰქვია მომსახუ-

...

ნავთობს უყაირათოდ ხარჯავენ

...

ჯ. ახვლედიანი.

მასების კონტროლით

სახალხო ფხიზელი თვალი

გვერდი № 178

მეცხოველეობა ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო ზრუნვით არის გარემოსილი. ყველასათვის ნათელია, რომ იგი მეტი სილოსი და კომბინირებული საკვები, მეტი თივა და ჩალა, მეტი რძე და ხორცია. ამიტომაც მეცხოველეობის საკვების სიუხვისათვის ბრძოლა ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, ყოველი ორგანიზაციის მთავარი საზრუნავია. ადამიანები ყოველთვის იბრძოდნენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი საკვები დაეგროვებინათ ზამთრისათვის. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ სხვისი თვალის ასახვევად ზემდგომ ორგანოებს წარუდგინონ ყალბი ცნობები, გაბერილი ციფრები, — ეს უკვე დანაშაულია.

აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა თითქმის ყველა რაიონის ფერმები და მრავალი დანაშაულისა და თვალის ახვევის ფაქტი გამოავლინა. მაგალითად, ქობულეთის რაიონის ქაქუთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — ა. ასტამბოლიშვილი) ფაქტობრივად დამზადებული 45 ტონა სილოსის ნაცვლად სახელმწიფო ანგარიშგებაში უჩვენა 285 ტონა. როგორც ხედავთ, ფაქტობრივი მდგომარეობა ხუთჯერ და მეტად არის გაზრდილი. ვის სჭირდებოდა ასეთი სიყალბე? ნუთუ მხოლოდ იმიტომ ჩაიდინეს, რომ ზემდგომ ორგანოებში თავი გამოეჩინათ? დაგვის კოლმეურნეობის მესვეურებმა (თავმჯდომა-

ნამატებები დანაშაულია

რე თ. ამირიდი) ფაქტობრივს 85 ტონა სილოსი და 48 ტონა სენაჟი წაამატა. ანალოგიური სურათი აღმოჩნდა ქედის რაიონის მურისის, ზვარის, ცხმორისის კოლმეურნეობებში. ვის აძლევს ხელს ასეთი ყალბი ციფრების კორიანტელი? რა თქმა უნდა, არავის! ყალბისმქნელებს შეცდომაში შეჰყავთ ზემდგომი ორგანოები, ისინი ძალაუნებურად ენდობიან წარდგენილ ციფრებს, მას ფაქტობრივად მიიჩნევენ, ხოლო შემდეგ ირკვევა: თურმე პირუტყვი კარგად მხოლოდ იმის გამო ვერ გამოაზამთრეს, რომ საკმარისი რაოდენობის საკვები არ ჰქონდათ მომარაგებული.

სახალხო კონტროლისა და პროკურატურის მუშაკებმა უფრო კურიოზული ფაქტები გამოავლინეს ხულოს რაიონის ღორჯომის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე—ლ. ირემაძე). მათ სახელმწიფოს ანგარიშგებაში უჩვენეს 2.100 ტონა თივა, ფაქტობრივად კი ფერმაში 120 ტონა აღმოჩნდა. დანარჩენი კოლმეურნეებს მისცეს მიბარებული პირუტყვის გამოსაკვებად, მაგრამ იგი არც შემოსავალში გაატარეს და არც კოლმეურნეებს დააწერეს. ამავე კოლმეურნეობაში მოუგვარებელი იყო საკვების პირველადი აღრიცხვა, დარღვეული იყო ელემენტარული ბუღალტრული ნორმები.

ამ და სხვა ფაქტების შესახებ თავის სხდომაზე იმსჯელა აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და დამნაშავეთა მიმართ მკაცრ ღონისძიებას მიმართა.

მ. დონაური.

თანამედროვე ალქიმიკოსები

ფელეტონის მაგივრად

...

გუშაგთა ინიციატივით

სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა ბეტონს, რომელსაც ...

...

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გამოძახილება

როცა კონტროლი ფხიზლობს

...

ა. ოთარაშვილი,

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ საამქროებსა და უბნებში დიდი რაოდენობის ელექტროენერგიას, ნედლეულს და მასალებს ზოგავენ. ამ საქმეში ენერგიულად შრომობენ საზოგადოებრივი კონტროლიორები. მეთაური ჯგუფის გარდა საწარმოში ნაყოფიერად მოქმედებს სახალხო კონტროლის 26 საგუშაგო.

საწარმოს მთელი პროდუქციის 70 პროცენტზე მეტი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში და უცხოეთში, სახელმწიფო ხარისხხისნიშნიანია. ესეც სახალხო კონტროლიორთა დიდი დამსახურებაა, რომლებმაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს წუნს, იბრძვიან თბილისური ელექტროავტომატების მაღალი მარკისათვის.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) წარმოების უფროსი ვახტანგ ზურაბიშვილი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე შოთა ჩახჩიანი, ინჟინერი გიორგი ანჯაფარიძე, ინჟინერ-ინსპექტორი თინა მათეთაშვილი და ოსტატი კონტროლიორი მაგული ნოზაძე სახავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

პ. იუხანოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პროფესორ ალექსანდრე გზირიშვილის დაბადების 80 წლის თავის გამო

სიკეთის მთესველი

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა მხოლოდ ნათელ კვალს ტოვებს ხალხის ხსოვნაში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი ქართველი მედიკოსი, პროფესორი ალექსანდრე გზირიშვილი. ამ შესანიშნავმა კლინიცისტმა და დიდებულმა ადამიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული მედიცინის განვითარებას, მრავალი სიკეთე თესა თავის მშობლიურ ხალხში.

კეთილი საქმე დავიწყებას არასოდეს მიეცემა, სიკეთის არც ერთი მარცვალი არ იკარგება უკვალოდ. დღეს ალექსანდრე გზირიშვილი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ საქართველოს საზოგადოებრიობა სიყვარულით აღნიშნავს სასახელო მამულიშვილის დაბადების 80 წლის თავს.

ალექსანდრე გზირიშვილი ბავშვობიდანვე ეზიარა შრომას. მშობლიურ ვაქირში გაიგო მისი ფასი და ძალა. ნიჭიერი და მონდომებული ბავშვი მშობლებმა ჯერ ვაქირის სამკლასიან სკოლაში მიაბარეს, შემდეგ კი — სიღნაღის საშუალო სკოლაში. ამის შემდეგ მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე შევიდა, რათა თავისი დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ ექცია.

უნივერსიტეტში ალექსანდრეს ასწავლიდნენ პ. მელიქიშვილი, ა. ნათიშვილი, გ. მუხაძე, ი. ბერიტაშვილი, ნ. კახიანი, ს. ვირსალაძე, ს. გოგიტიძე, ა. ალადაშვილი, მ. წინამძღვრიშვილი და სხვანი. ყმაწვილმა თავისი განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით და ნიჭით მალე მიიქცია სახელოვან მოძღვართა ყურადღება. გამონაკლისის სახით მას, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, უნივერსიტეტის გამგეობამ 20 მანეთი სტიპენდია დაუნიშნა. ასეთ სტიპენდიას მთელს უნივერსიტეტში მხოლოდ სამი სტუდენტი იღებდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ა. გზირიშვილი მუშაობას იწყებს გ. მუხაძის კლინიკაში ორდინატორად. აქ წერს პირველ მეცნიერულ ნაშრომებს, ამავე დროს პრაქტიკულად ხელოვნდება და სრულყოფს თავის ცოდნას. 1930-32 წლებში იგი მუშაობდა ჯერ ზუგდიდის ქირურგიულ, ხოლო შემდეგ წალკის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების გამგედ. ახალგაზრდა დასტაქარმა აქ ბევრი რთული ოპერაცია გააკეთა. 1933 წელს გ. მუხაძემ საყვარელ მოწაფეს ლენინგრადში მივლინება შესთავაზა უროლოგიაში ცოდნის გასაღრმავებლად.

პროფესორ ბ. ხორცოვის კლინიკაში მუშაობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა ა. გზირიშვილისათვის. იგი ჩამოყალიბებულ მეცნიერად, მკვლევარად დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს და 1937 წელს ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „თირკმლის ევაკუატორული მოძრაობის მანომეტროგრაფიული შესწავლა“. ამის შემდეგ იგი დაინიშნა რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი მთავარ ექიმად, ამასთან ასისტენტად მუშაობდა ზოგად ქირურგიაში. ამავე წლებში შეუდგა იგი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას. მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი და ალექსანდრე გზირიშვილი ერთ-ერთი პირველი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

მას დაავალეს ახლანდელი სტუდქალაქის ტერიტორიაზე დაჭრილების მისაღებად კარგად აღჭურვილი ჰოსპიტლის მოწყობა. იგი დღედაღამ ჰოსპიტალში იყო, ადმინისტრაციულ საქმიანობასაც ეწეოდა და რთულ ოპერაციებსაც აკეთებდა. უკიდურესი დატვირთულობის დროსაც კი მეცნიერული მუშაობისთვის თავი არ მიუნებებია. სადოქტორო დისერტაცია უკვე მზად ჰქონდა, როცა ჰოსპიტალი ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნეს და ა. გზირიშვილიც, როგორც მთავარი ქირურგი, თან გაჰყვა, თითქმის მთელი მესამე უკრაინის ფრონტის გზები მოიარა ჰოსპიტალთან ერთად. ვაჟკაცური შემართება, სიმტკიცე და შესაშური მოთმინება გამოიჩინა მან იმ მძიმე წლებში. ვინ მოთვლის, რამდენი სიცოცხლე იხსნა მისმა მადლიანმა მარჯვენამ! უამრავი სამადლობელი წერილი ინახება პროფესორის საოჯახო არქივში.

ფრონტზე ალექსანდრე გზირიშვილს ყველაზე მეტად გამოადგა მეცნიერული ცოდნა და ის გამოცდილება, ქირურგის სხვადასხვა დარგში მუშაობით რომ შეიძინა. მისი ფრონტელი მეგობარი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მ. დოლონაძე იგონებს: „ბატონი ალექსანდრე რომ შესანიშნავად აკეთებდა თირკმელებისა და საშარდე გზების ოპერაციებს, ეს ხომ ისედაც ცნობილი იყო. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რამდენ გამომგონებლობას და ოსტატობას იჩენდა იგი სახსრების, ნერვებისა და სხვა ოპერაციების ჩატარებისას“.

1944 წელს ა. გზირიშვილი რამდენიმე დღით ბრუნდება საქართველოში სადოქტორო დისერტაციის დასაცავად. მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მასალები ელექტრონეფროგრამის კლინიკური გამოყენებისათვის“. ამ ნაშრომს ძალზე მაღალი შეფასება მისცეს მედიცინის ცნობილმა მოღვაწეებმა.

გაიარა ომის მრისხანე წლებმა, უკან დარჩა უძილო ღამეები, ათასობით ოპერაცია, ავსტრია, უნგრეთი, რუმინეთი, იუგოსლავია... 1946 წელს ვალმოხდილი ბრუნდება დასტაქარი საქართველოში და მუშაობას იწყებს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტში ჯერ სწავლულ მდივნად, შემდეგ დირექტორად. ამავე წელს სათავეში უდგება რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიის განყოფილებას, ეწევა დიდსა და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, რომელმაც დიდი აღიარება მოუპოვა. ა. გზირიშვილმა საბჭოთა კავშირში პირველმა გამოიყენა ნიშანდებული ატომები (იზოტოპები) თირკმლის დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის, რითაც ახალი ფურცელი ჩაწერა უროლოგიის ისტორიაში: მის კალამს ეკუთვნის 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფიები. მათ საპატიო სახელი დაუმკვიდრეს ავტორს ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა შორის.

ა. გზირიშვილი არჩეული იყო თბილისის პირველი მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მეცნიერების დარგში თვალსაჩინო ღვაწლისათვის მას საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. იგი თითქმის ორი ათეული წელი იყო რესპუბლიკის მთავარი უროლოგი და ამ პერიოდში ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკის სამედიცინო სამსახურის სრულყოფისათვის. 1952 წლიდან გარდაცვალებამდე ა. გზირიშვილი იყო საკავშირო უროლოგთა სამეცნიერო საზოგადოების ჯერ გამგეობის წევრი, შემდეგ კი თავმჯდომარის მოადგილე, დიდი საბჭოთა სამედიცინო ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი უროლოგიის დარგში, ჟურნალ „უროლოგია ი ნეფროლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის საბჭოს წევრი და სხვა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ქვეყანამ ღირსეულად დააფასეს მისი ღვაწლი — იგი დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებით, საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარჩინებული ნიშნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარი, შესანიშნავი დასტაქარი ამავე დროს არაჩვეულებრივად მომხიბვლელი, საოცრად კეთილი და გულისხმიერი კაცი იყო. ასეთი ახსოვთ იგი მის მრავალრიცხოვან მადლიერ პაციენტებს, მეგობრებს, კოლეგებს. საქართველოს ყველა კუთხეში დღესაც ლეგენდები დადის მის „ოქროს მარჯვენაზე“, მისი გულის სითბოსა და უანგარობაზე. იგი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ დღესაც დადიან მის მიერ სიცოცხლებაბოძებული ადამიანები, მისი მადლიერი მოწაფენი.

20 მაისს მრავალმა მათგანმა მოიყარა თავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, სადაც გაიმართა სახელოვანი დასტაქრის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, ხოლო 22 მაისს, 1 საათზე სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნება ალექსანდრე გზირიშვილის ძეგლი.

თ. ჯაფარიძე,
პროფესორი.

„ფიცით შეუდექ“

მწვანეში ჩაფლული სამედიცინო ქალაქი — ასე შეგვიძლია ვუწოდოთ დიდი ტრადიციის თბილისის პირველ საავადმყოფოს თავისი ვრცელი ტერიტორიით, შესანიშნავი ნაგებობებით, სამკურნალო, სამეურნეო თუ სხვა დაწესებულებებით.

საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების დათვალიერებისას ჩვენი ყურადღება ერთმა ლამაზად გაფორმებულმა განცხადებამ მიიპყრო. გვაუწყებდნენ დავსწრებოდით სუბორდინატორთა გამოსაშვებ კაფე-საღამოს, რომლის რუბრიკა გახლდათ „ფიცით შეუდექ“.

თავის არსით ეს მიკროღონისძიება ბევრად ჩამოუვარდებოდა თვით ინსტიტუტის მიერ მოწყობილ მედიცინის კადრების გამოშვებისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოებს, მაგრამ იგი სიახლით, ფორმით, სითბოთი და უბრალოებით აშკარად ყურადსაღები და სასიამოვნო იყო. სტუდენტთა ჯგუფი არცთუ დიდი იყო, სულ რაღაც 8 კაცი. მთელი ერთი წელი დაჰყვეს მათ აქ. საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში და სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ი. ფალავასა და კათედრის დოცენტის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ლ. ქერქაძის ხელმძღვანელობით პრაქტიკულად ეუფლებოდნენ ექიმის რთულ პროფესიას.

კაფე-საღამოს, რომელსაც საავადმყოფოს მედპერსონალიც ესწრებოდა, ახასიათებდა უშუალობა, სითბო, კულტურის მაღალი დონე და წითელ ზოლად გასდევდა ის ფიცი, რომელიც აქ დადეს მომავალმა ექიმებმა ე. კობახიძემ, მ. გაბუნიამ, მ. აბრამიძემ, მ. კალაძემ, თ. მჭედლიშვილმა, დ. გოდერძიშვილმა, ი. ბარაბიძემ და ფ. ტუსკაძემ.

ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ინსტიტუტის ამ მეექვსეკურსელ სტუდენტებზე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომასა და სწავლაში, იყო პროფესიული ხასიათის კითხვა-პასუხი, მოგონებანი...

ვ. გაბაძე.

მეოთხე ტრადიციული...
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ წყალსაჯომარდო-სპორტულ კომპლექსში მთავრდება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე მეოთხე საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში.

მეხუთე და მეექვსე ტურის კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა: რუმინეთი-სსრკ II — 8:8, ესპანეთი-შვეცია — 10:4, კუბა-პოლონეთი — 13.11, სსრკ I-საქართველო — 13:7, სსრკ II-კუბა — 14:7, შვეცია-საქართველო — 5:8, რუმინეთი-ესპანეთი — 14:13, სსრკ I-პოლონეთი— 9:6.

ბოლო ტურის მატჩების წინ, რომლებიც დღეს გაიმართება, გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სსრკ I და რუმინეთი — 10-10 ქულა, ესპანეთი— 9, სსრკ II, კუბა და პოლონეთი— 5-5, საქართველო — 4. შვეციის ნაკრებს ჯერ ქულაც არ მოუპოვებია.

ჭადრაკის დაფებთან

იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების 10 ტურის შემდეგ კასპაროვს 8 ქულა აქვს, პოლუგაევსკის — 6 (1 გადადებული პარტია).

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მე-11 ტურში გ. გიორგაძემ დაამარცხა პ. გაფრინდაშვილი, ბაღათუროვმა — ეფიმოვი, ლომაიამ — ტყებუჩავა, ზაიჩიკმა — ვეფხვიშვილი, მაჭარაშვილმა — გედევანიშვილი. გოგეშვილი და ხუცურიანი დაზავდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 11 ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერს გია გიორგაძეს 8 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. 7 ქულა მოაგროვა გენადი ზაიჩიკმა.

სატურნირო ორბიტა

ძალოსნობა. დნეპროპეტროვსკში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი. 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში პირველობა მოიპოვა კემეროვოელმა ნ. ზახაროვმა. მან ორჭიდში 295 კგ დააგროვა. ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე მოსკოველმა ა. ავესტოვმა (67 კგ-მდე წონა) და მოგილეველმა ვ. მიხაილოვმა (75 კგ-მდე წონა). პირველმა ორჭიდში 325 კგ დაძლია, მეორემ — 352,5 კგ. ზაგორსკელმა ა. აივაზიანმა (75 კგ) აცაცში 162 კგ აჩვენა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ველოსპორტი. მშვიდობის ველორბოლის მორიგი, მეცხრე ეტაპი (პოზნანი — ფრანკფურტი, 171 კმ) მოიგო იტალიელმა ჯოვანი ბოტოიამ. მან ეს ტრასა 3 საათში, 54 წუთსა და 2 წამში გაიარა. ცხრა ეტაპის ჯამით რბოლის ლიდერია ტაშკენტელი შახიტ ზაგრეტდინოვი.

შაში. ფოთში მიმდინარე ქალთა საკავშირო (საერთაშორისო შაშში) თერთმეტი ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ მინსკელები ე. ალტშული, ლ. სოხნენკო და მოსკოველი ე. მიხაილოვსკაია. ვილნიუსელ რ. ვიტკაუსკაიტეს და მინსკელ ი. პაშკევიჩს 6,5-6,5 ქულა აქვთ.

ფრენბურთი. დაუგავპილსში დამთავრდა ახალგაზრდობის III საკავშირო ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი გოგონათა გუნდებს შორის, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა. საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ყაზახეთის გუნდები. მოსკოველები მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. დ. ა. პერტენავა გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატში სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

ცისფერ ეკრანზე
საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 24 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „გრიგორე ვიერუ“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის“ — დოკუმენტური ფილმები „სამხრეთ იაკუტიის დრო“, „ტირნიაუზი“ და „კიროვო-ჩეპეცკი“, 11.40 — „აშკარა — დაუჯერებელი“ (მ.), 12.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წაბლის ხეები — ოქროს აბნევენ“, 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი, 13.30—„ქართული ფილმი-60“ — „ელისაბედ ჩერქეზიშვილი კინოში“, 17.00—უმცროსკლასელთათვის“ ვიწყებთ ლაპარაკს რუსულად“, 17.30—„სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის“ მოსწავლეთათვის — „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“, 18.45 — „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“ გადაცემა „ხსოვნა გულისა“ — საბჭოთა კავშირის გმირი ზ. ხიტალიშვილი, 19.15 — გზებსა და გზაჯვარედინებზე“ „შემთხვევა“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 ...

... ბა), 18.25 — „ათი ათასად ზრდილობა“... 19.10—„საესტრადო პანორამა“, 19.55 — „მოამბე“, 20. 25 — „კანონიერების სადარაჯოზე“ — (სსრ კავშირის პროკურატურის 60 წლისთავის გამო) — გადაცემაში მონაწილეობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი (მ.), 20.55 — მხატვრული ფილმი „აუ-აუ“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ახალგაზრდობისათვის „გაუმარჯოს გულ-...

... თის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იანოშ კადარის 70 წლისთავისათვის, დოკუმენტური ფილმი (მ.), 20.45 — „ქართული კინოს ისტორიიდან“ — მხატვრული ფილმი „ელისო“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ ვ. სალარიძე, 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სტუდენტებისათვის — მასალათა ...

სამშაბათი, 25 მაისი
ოთხშაბათი, 26 მაისი
ხუთშაბათი, 27 მაისი
პარასკევი, 28 მაისი
შაბათი, 29 მაისი
კვირა, 30 მაისი



რა მოვისმინოთ
საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 24 მაისი
სამშაბათი, 25 მაისი
ოთხშაბათი, 26 მაისი
ხუთშაბათი, 27 მაისი
პარასკევი, 28 მაისი
შაბათი, 29 მაისი
კვირა, 30 მაისი

ტელევიზია
22 მაისი
მოსკოვი
თბილისი